საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 205

22 03 2017წ.

ქ. თბილისი

პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დარგისა და განათლების ფასილიტატორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მენეჯერის 2017 წლის 15 მარტის №248009 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის 22 მარტიდან, 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი პროგრამის დარგისა და პროგრამის განათლების ფასილიტატორების შერჩევის მიზნით.

2.პროგრამის დარგის ფასილიტატორის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური ან პროფესიული განათლება ან/და არანაკლებ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება რომელიმე შემდეგი მიმართულებით:

ა.ა) სამუსიკო შესრულება;

ა.ბ) ლითონის მხატვრული დამუშავება;

ა.გ) ქორეოგრაფია;

ა.დ) კერამიკა;

ა.ე) ვებინტერფეისის დიზაინი;

001339

ა.ვ) ფარმაცია;
ა.ზ) აუდიო-ვიზუალური ხელოვნება;
ა. თ) საიუველირო საქმე;
ა.ი) გრაფიკული დიზაინი;
ა.კ) ანიმაცია (კლასიკური და გრაფიკული ანიმაცია);
ა.ლ) ინდუსტრიული დიზაინი;
ა.მ) ქვის დეკორატიული გამოყენება;
ა.ნ) ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის დამუშავება;
ა.ო) სილამაზის მომსახურება;
ა.პ) პერსონალური მომსახურებები.
ბ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Power Point) კარგად ცოდნა;
გ) ქართულ ენაზე მეტყველების, კითხვისა და წერის ძალიან კარგი უნარები;
დ) სასურველია კანდიდატს ჰქონდეს პროფესიულ სტანდარტებზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება, რაც უნდა დასტურდებოდეს კანდიდატის მიერ ქართულ ენაზე წარმოდგენილი ავტობიოგრაფიით - (CV).

3. დარგის ფასილიტატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 15 ადგილზე, საკონკურსო კომისიის მიერ შეირჩეს თითო კანდიდატი მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული შესაბამისი მიმართულებიდან.

4. კონკურსის შედეგად დარგის ფასილიტატორის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადით და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1400 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

5. პროგრამის დარგის ფასილიტატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტანდარტის/სტანდარტების გადამუშავების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება ცენტრის ფარგლებში განსაზღვრული მეთოდოლოგიითა და ინსტრუქციით, რომლის შესრულების შედეგად მოსალოდნელი შედეგებია/პროდუქტებია:

ა) საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის ანალიზის შემუშავებაში თანამონაწილეობა;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის თანდართული მოდულების პროექტები;
გ) საჭიროების შემთხვევაში გადამუშავებული პროფესიული სტანდარტი/სტანდარტები;
დ) შუალედური და საბოლოო ანგარიშები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაცია.

6.პროგრამის განათლების ფასილიტატორის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;
ბ) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, რაც უნდა დასტურდებოდეს კანდიდატის მიერ ქართულ ენაზე წარმოდგენილი ავტობიოგრაფიით - (CV). უპირატესობა მიენიჭება კანდიდატებს, რომლებსაც აქვთ პროფესიულ სტანდარტებზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება;
გ) ფასილიტაციის, ჯგუფთან მუშაობისა და კოორდინაციის გამოცდილება;
დ) კომპიუტერული პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel; Ms. Power Point) კარგად ცოდნა.
ე) ქართულ ენაზე მეტყველების, კითხვისა და წერის ძალიან კარგი უნარები.
ვ) ინგლისურ ან/და რუსულ ენებზე მეტყველების, კითხვისა და წერის უნარები.

7.განათლების ფასილიტატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 15 ადგილზე.

8.პროგრამის განათლების ფასილიტატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტანდარტის/სტანდარტების გადამუშავების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და

ანგარიშგება ცენტრის ფარგლებში განსაზღვრული მეთოდოლოგიითა და ინსტრუქციით, რომლის შესრულების შედეგად მოსალოდნელი შედეგებია/პროდუქტებია:

ა) საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის ანალიზი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის თანდართული მოდულების პროექტები;

გ) საჭიროების შემთხვევაში გადამუშავებული პროფესიული სტანდარტი/სტანდარტები;

დ) შუალედური და საბოლოო ანგარიშები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაცია.

9. განათლების ფასილიტატორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი ,,პროფესიული განათლების შესახებ";

ბ) ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;

გ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 02 ნოემბრის №1095 ბრძანება - „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

10. კონკურსის შედეგად განათლების ფასილიტატორის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადით და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1600 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

11. დარგისა და განათლების ფასილიტატორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს დამატებით უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:

ა) აზრის გამართულად ჩამოყალიბების;

ბ) ლოგიკური აზროვნების;

გ) ანალიტიკური აზროვნების;

დ) სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაციის.

12. პროგრამის დარგისა და პროგრამის განათლების ფასილიტატორის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა ატვირთონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

13. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

14. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის, www.eqe.ge, მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

15. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6).

დირექტორი თამარ სანიკიძე

შემსრულებელი:

ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

თარიღი: /22.03.17/ _____/ნინო მეგრელი/

შეთანხმებულია:

იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი

თარიღი: /22.03.17/ _____/ანა ბუჩუკური/

პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი

თარიღი: /22.03.17/ _____/ეკატერინე ნაცვლიშვილი/

დირექტორის მოადგილე

თარიღი: /22.03.17/ _____/თამარ მახარაშვილი/

22.03.17

ხელმოწერის თარიღი